



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 181  
28/03/2017

ბრძანება

181-09-4-201703281353



**ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხალთის და შუახევის ჰესების დამაკავშირებელი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.**

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 27 თებერვალს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს №1682/09 წერილი ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხალთის და შუახევის ჰესების დამაკავშირებელი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 28-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ მე-8-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესათანხმებლად გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების საბჭოს (კორესპოდენცია №09/2200. 17.03.2017წ; კორესპოდენცია №09/2094 16.03.2017 წ.), როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საიდანაც მოსულია თანხმობის წერილის (კორესპოდენცია №01-10/1107. 20.03.2017წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბრძანების (ბრძანება №01-3/109; 20.03.2017წ.) და რეგულირების საბჭოს 2017 წლის 20 მარტის №03 გადაწყვეტილების (მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციის №2824/09. 21.03.2017 წ.) ელექტრონული ვერსია.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-IX-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან. ადმინისტრაციული წარმოების

მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის

მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხალთის და შუახევის ჰესების დამაკავშირებელი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-IX-ე თავის და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის გურამ დეკანაძის 2017 წლის 24 მარტის N837-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

#### **ვბრძანებ:**

- 1) დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხალთის და შუახევის ჰესების დამაკავშირებელი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ გვერდზე ([www.khulo.ge](http://www.khulo.ge)) ატვირთვა და წინამდებარე ბრძანების ასლის (ასლების) შესაბამისი სამსახურისათვის გადაცემა;
- 3) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის №5) მისი მხარეზე ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა